

# სახალხო ფურცელი

საქართველოს  
საბჭოთაო  
დემოკრატიული  
რევოლუციური  
ფურცელი

გაზეთის № 25

დაგაბრის № 5

კვირა, 29 ივნისი 1914 წ.



სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა ტფილისში.

## სომხურით

(ოვანესიანისა)

წარსულთა დროთა ხალხი, მედროვე  
დადუმდა მარად.—მოვიდნენ სხვანი.  
ბედი ეწვია ხალხს ახალგაზრდას,  
ალორძინების მისცათ ნიშანი.

მამაპაპათა სახე გმირული  
მნათობ ვარსკვლავად აღმოველინათ.  
ღვაწლით, ვიწით და ბრძოლით ნაშოვნი  
თვით უკვდავება ადგათ გვირგვინად.

შენ კი, განროხმულხარ ცოცხალ-მკვდარივით,  
ჩემო სომხეთო! კენესით დაგცქერი...  
ესდენ მშვენიერს ბორკილი გთელავს,  
ესდენ ნატკენ გულს გიფათრავს მტერი.

შენმა კრილობამ ვერ ამოფეთქოს  
შტო მწვანე, ნიშნად განახლებისა;  
ქედსა გილუნავს წამების ჯვარი,  
ღრო გიდგა ავი, ცრემლთა ხლებისა.

მე კი მწამს, სრულად არ აღიგვები,  
შენი მნათობიც მოვა—ღრო ხსნისა;  
გამოიღვიძე სამშობლოვ! აჰა,  
უკუნეთ ბნელში ციმციმებს ისა!

სულთქმას შეხუთულს მიეცი შევბა,  
ლამპრად აღენთე! აღზდეგ დანთქმული!  
მოგივალთ ჩვენაც ყოველის მხრიდან,  
გვიხმე, ისმინე შვილთაგან თქმული.

ბაბილინა.

## ბაგრატი, მხარეში!

ვერსად დავაწყე ეს ჩემი მძელები,  
ვერც დავიამე ტკივილი მწვავე  
და ეხლა იმის მტრადაც ვითვლები,  
ვისშიაც გული დავასაფლავე.  
აი, ჩემს ირგვლივ ღამეა გრილი,  
სამარის მზგავსად არაფრის მთქმელი  
და, ყველასაგან უარყოფილი,  
არავის ვუცდი, აღარას ველი.

ვინ მოვა ამ ღროს, ვინ მანუგეშებს,  
ვინ გამომიწვდის მეგობრულ ხელსა?  
სძინავს წყვედიად ქვეშ დაღვრემილ ველებს,  
სძინავს წყვედიადზე ცას ცივს და ვრცელსა.  
მხოლოდ კვლავ სევდა მისველებს თვალებს,  
სევდა მატარებს კვლავ თავის რჯულზე,  
სამარადისო ძმობას მავალებს  
და მასვენია ბავშვივით გულზე...

ბაგრატი მხარე! ვეძებ სამშობლოს  
და ჩემს სამშობლოს სამარე ჰქვიან,  
მხოლოდ არ ვიცი, უთანამგრძობლოს  
სად მაღირსებენ, სად გამითხრიან.  
მაგრამ საც უნდა ვეღირსო საფლავს,  
დავწვე სიკვდილის გასათეველად,  
ოლონდ ცა ნამად მაფრქვევდეს ვარსკვლავს  
და გრძელი ღამე მეხვიოს მცველად.

ს. კურაძე.


ი. მკედლიშვილი.

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. რესპუბ.  
ბანკი





ალექსანდრე ყაზბეგი  
პეტერბურგში ყოფნის დროს.



ვლ. ლორთქიფანიძე  
(გარდაცვალების 5 წლის თავის გამო).

### ერთ დროს აქ იყო

ერთ დროს აქ იყო და ეხლა კი ვინ უწყს სად არი...  
ვინ უწყს სად არი გულის სწორი დღეს მეგობარი...

ნეტავ ვიცოდე კადევ ახსოვს ჩვენი წარსული?...  
ვაჰ, თუ უდროვით გაუგრილდა მგზნებარე გული  
და სამუდამოთ დამივიწყა თვისი ერთგული!..

აი სურათი სატრფოს ხელით გადმოცემული,  
აი წერილიც ხშირად ცრემლით დასველებული...  
ისიც აქ იყო... და ეხლა კი ვინ უწყს სად არი...  
ვინ უწყს სად არი გულის სწორი დღეს მეგობარი!..

ქნარი.

### მისხაობის მთავს

მსურს ჩემ სამშობლო ქვეყანას  
ლიპილით მივესალამო...  
ცრემლად ავფეთქდე მის წყალულზე  
დავადნე როგორც მალამო.

აი ხომ ხედავ ლურჯ მთებსა  
იქ იდგა ჩემი აკვანი...  
იქ ვიშვი, იქ აღვიზარდე  
იქ შევისწავლე ანბანი.

იქ ნაძვის ფოთლის შირილი  
მეტყოდა ტკბილსა ნანასა,  
ბულბული ვარდის ბუჩქიდან  
შეჰყეფდა მინდორ ყანასა.

ღამის ცრემლები ყვავილებს  
ცვარ მარგალიტად ფენოდა,  
ლალათ გაშლილი კუკური  
ზურმუხტ ბუჩქებში შეენოდა.

და ნაპრალ კლდიდან მოხეთქილს  
წყაროს წინწყლები სციოდა  
შებუტბუტებდა მიწამოს  
თითქოს რალაცას ჩივოდა.

ხან შაშვის ტკბილის ჭახჭახით  
აღხენდა არე მარესა,  
ხან მწყემსი სალამურის ხმით  
ფიქრებს აბნავდა მწარესა.

მით შემეყვარდა სამშობლო  
გულს ხატად დამისვენია,—  
ბევრი რამ მახსოვს უტკბესი,  
თუმც ბევრჯელ ცრემლიც მდენია.

სოხო ვარდიძე.

ქე ქე

### მალაროს მუშა

არ ვარ მგოსანი, რომ დავეყრდნო კამარას ცისას,  
ოცნების ფრთებით ვინავარდო ცის მკერდ-ლურჯ ზღვაზე,  
რომ იქ მწყურვალი დავეწაფო სხივთა ტბას მზისას,  
რომ ვარსკვლავები ავამლერო იქ შევების ხმაზე.

არ ვარ მხატვარი, რომ ზღვის სივრცე დავიმორჩილო  
და მკრთალ ტილოზე გადვიტანო ზღვის მრისხანება...  
ტალღათ ჩოჩქოლი რომ ქალღღებ ავანმატკბილო,  
ჩემის ოცნებით რომ დავიპყრო ზღვის ძალა, ნება...

არც მოქანდაკე — რომ უტყვი ქვა ავამეტყველო,  
სული შთაებერო ცეცხლის მფრქვევი ცოც მარმარილოს,  
ცრემლებით ვბანო, ნეტარების ცრემლით ვასველო  
რასაც ვქმნი, რომ მან შემოქმედი არ გამაწბილოს...

მე ვარ მალაროს შავი მუშა... ტანჯვისა შვილი,  
მკერდ გამურული ოფლში ნალეს მტვერით და ჟანგით,  
მე სინამდვილემ დამავიწყა ოცნება ტკბილი,  
მან აღმადრენა დამიშრიტა სევდისა ჰანგით...

მე არც კი მახსოვს როდის იყო უკანასკნელად  
რომ გაფუშაღე მკერდი ჩემი სხივოსან მზესა,  
გავინავარდე ყვავილებით მოქარგულ ველად...  
და მოვსწყდი... მოვსწყდი სამუდამოდ მხიარულ დღესა.

მერმე აქა ვარ, მალაროში... ბნელ მალაროში,  
მხოლოდ ღამით თუ გადავხედავ ცის ვარსკვლავთ კრებულს,  
თორემ მზის ცელქ სხივს ვერ ვიხილავ მე ვერას დროში...  
ველარ დავატკობ მდელის ხილვით თვალს დაბნელებულს...  
ბნელ მალაროში ვქმნი სიმდიდრეს... სიხარულს... შევებას...

ტანჯვის ცრემლებით ვბან ოქრო-ვერცხლს, მარგალიტ-ლალებს...  
სხეებს მე ვანიჭებ სიტკბოებას და ნეტარებას...  
და თვით კი... ვკნესი... გული გმინავს... სული ვალალებს...

მითხარით: ნუ თუ სამუდამოდ ვარ დამარბული,  
ველარ ვიხილავ მხიარულ დღეს, კაშკაშა მზესა?

ეჰ! კმარა! კმარა! მეც მსურს შევება, მსურს სიხარული,  
მზე დამანახეთ! მეყოს ტანჯვა! მაკმარეთ კვნესა!...  
არა! ცრემლებმა მხოლოდ სული დამიავადა,  
მე ტანჯვაში მყოფს არვინ მომცა ხსნისა იმედი...

აწ აღარ ვსტირი... ცრემლთა ფრქვევას არ ვუღებ მტლად  
ჩემს სულის სწრაფვას... მე მსურს შევქმნა თვით ჩემი ბედი.  
აწ ნუღარ ელით... ჩემს გოდებას აწ ნუღარ ელით!..

მე ძლიერი ვარ... ძლიერი ვარ ღონით და ძალით,  
მალაროს კედლებს მე დავანგრევ კოყრიან ხელით...  
და მზეს ვიხილავ ტანჯვის შვილი... მზეს ჩემის თვალთ...

მე ხომ ოცნებამ არ მიწამა... ვერც მე ვიწამე...  
მაგრამა მაინც წინსვლის იმედს არ გავაწბილებ,

და თუ ოცნებით ვერ ვიხილე შევება, სიამე,  
თვით სინამდვილეს დავიმონებ... დავიმორჩილებ...


ი. ვადაქორია.





# „ჩაუნთეს“

ამბავი



**ა. ევლოშვილი და 7 წლის ქალი კუპრიაშვილი, რომელმაც ქუ-**  
თაისში ევლოშვილს საღამოზე ეს ლექსი წაუკითხა:  
„სალამს წორფელსა ამ გულიდგან მოწყვეტილსა  
მე, პატარა, ვუძღვნი იროდიონ ევლოშვილსა!  
მე მრავალჯერ წამიკითხავს, თქვენი ლექსი „ნაკადულში“  
და ყოველთვის სასიკეთო ღრმად მიგრძნობს ხოლმე გულში.  
და ამიტომ დიდ ღმერთს შევესთხოვ, ფრთა შეასხას ჩემს სურვილსა  
დღეგრძელობა ნუ მოაკლოს ჩემს საყვარელს ევლოშვილსა.“

## ფ ვ ი მ ა

ცის გულ-მკერდზე ამაყურად დასცივლივობს ღრუბლის ქულა,  
მწუხარების შავი ცრემლით ცის მანდილი დათალხულა.  
სეცა სტირის... და მის ტირილს ყურს უგდებენ შავი მთები  
ზღუშს ყოველი... მხოლოდ ოდნავ შრიალებენ ყვავილები...  
წკაპ! წკაპ! წკაპ! წკაპ! — წვიმის წვეთთან აშრიალდა ლერწამ-ლეღი  
და მას აჰყვა მთის შაირი სევდიანი, გულის-მკვლელი...  
ოჰ! მეც მიყვარს ეს შაირი, ჩემი ჰანვის არის ბანი,  
ჰო, მეც მიყვარს, ვით მეზღვაურს გადაშლილი იალქანი!..

სიჩუმეა... მხოლოდ იბრძვის ცის ტატნობზე წვიმის ცვარი,  
ვით ღემონი სამოთხესთან, ვით ჯოჯოხეთს ქაჯთ-ლაშქარი!..

ეგრე, ეგრე იცივლივებ, იცივლივებ წვიმის წვეთო  
და ეცადე მაგ შაირით, ჩემი სევდა რომ გაჰკვეთო!..  
— შრრრ, სსსს, სსსს, შრრრ, — ჩუ! ლერწამმაც მომცა ბანი;  
მეც ავეგზენ და ქვითინით მის რხელს ტანს ჩავეწანი...  
მე ვუამბობ მას ჩემს სევდას, მე ვუამბობ მას ჩემ შაირს,  
ის კი, ცრემლით მისცემია ფიქრთა გრძნობას ათასნაირს!..

სიჩუმეა... მხოლოდ იბრძვის ცის ტატნობზე წვიმის ცვარი,  
ვით ღემონი სამოთხესთან, ვით ჯოჯოხეთს ქაჯთ ლაშქარი...  
და ჩემს კენესას ყურს უგდებენ: მხოლოდ წვიმა შესაზარი  
და ამაყად მონაწილე, ფრთა-მედგარი, ნიაგ-ქარი!..

— წკაპ, წკაპ, წკაპ! წვიმის ცვართან აშრიალდა ლერწამ-ლეღი  
და მას აჰყვა მთის შაირი, სევდიანი, გულის-მკვლელი!..  
— აქვითინდი, ჰე, შაირო, აქვითინდი, გეუბნები!  
რადგან კენესა-მწუხარებით, ხან ჩემ სულსაც ელხინები!..

— ეს წარსულის ვაგება, ეს წარსული სევდა არი,  
რომ დღესაც კი, სულს მიშფოთებს, დღესაც კია შესაზარი...  
აი, ესეც ჩემი სატრფო ჩემ ლექსებში ხშირად მყოფი,  
მაგრამ დღეს კი მიბნედილი, მაგრამ დღეს კი ავადმყოფი...  
და ეს ტკბილი საღამური, ტკბილ სიმღერით ერთხელ საესე,  
ის მიწვედა მეგობრობას, ის ჩემ სულში მოვათავსე...  
მაგრამ იგი ტიალ ქარმა განთიადზე ჩე' ხელთ ჰნახა,  
გამომტყორცხა... და მას აქეთ მეც სიკვდილი მიკარნახა!..  
აი, კიდევ ყრმობის ვარდი, ჩემ წალკოტში კოხტად მდგარი,  
მაგრამ დღეს კი თავ-დახრილი, მაგრამ დღეს კი ჩამომხმარი!..

ეჰ, ვინც მოსთვლის ჩემ სევდასა, მან დასთვლოს ქვიშა ზღვაზე,  
ან ასწეროს საქართველოს სიტურფე და სიღამაზე!..  
ეჰ, ვინ უწყის კავშანი, თუ რა რიგად მიკლავს სურვილს  
და ვით მტანჯავს მეოცნებეს, მაგრამ სევდით შემოზღურვილს!..

ეგრე, ეგრე იცივლივებ, იცივლივებ წვიმის წვეთო  
და ეცადე მაგ შაირით, ჩემი სევდა რომ გაჰკვეთო!..

სიჩუმეა... და ზეციდან გამოისმის სევდის ხმები  
სღუშს ყოველი... მხოლოდ ოდნავ შრიალებენ ყვავილები...

გ. ლეონიძე.

ახირებული კაცი იყო გასანხანი ასლამაზაშვილი. სოფლის და  
ჯამათის გადაწყვეტილებას ის არას დროს არ დასთანხმდებოდა  
ხოლმე. რა გინდ კარგი განჩინება დაედგინა სოფელს, რაც გინდა  
სასარგებლო და ხელსაყრელი ყოფილიყო სოფლისთვის გასანხანი  
თავისას გაიძახოდა და სოფლის გარდაწყვეტილების თანახმა ძნელად  
თუ გახდებოდა ხოლმე. ჯანდაბას და დოზანას, მაგის თანხმობისა-  
თვის არც ენგრე გავიცხებდით თავს, იტყოდნენ ხოლმე სოფლე-  
ლები, მაგრამ დიმიტრი ისეთი კაცი იყო, რომ სოფელს მასთან ან-  
გარიშის გაწვევა უხდებოდა ხოლმე. ყოველ საქმეზედ ჯამათში ერთ  
აურ-ზაურს ასტებავდა, ბევრს ხალხს თავისს მხარეზედ გადიბირებდა  
და ჯამათს უძნელებდა საქმის გადაწყვეტას. ვსთქვათ ჯამათმა  
მიიღო ესა თუ ის გადაწყვეტილება და განაჩენი დაადგინა, გასან-  
ხანი მაინც არ მოისვენებდა, აქეთ ეცემოდა, იქით ეცემოდა, ამას  
მიმართავდა, იმას სთხოვდა და საქმეს გაუჭირებდა ხოლმე ჯამათს  
ჯამათიც ერთს გასაჭირში იყო და გასაქანი არსაითა ჰქონდა.

უნდა გენახათ გასანხანი სოფლის ყრილობებზედ. დაიწყებდა  
ლაპარაკს და იმის გაჩერება აღარ შეიძლებოდა, ისეთის სისწრაფით  
ისეთის სახით ლაპარაკობდა, თითქოს წყალი გადმოსჩქვებს მთის  
კორდიდგანაო. მაგრამ ბევრს არაფერს იგონებდა იმის ნათქამიდა  
სოფელი, არაფერს უგონებდა და ხშირად ლაპარაკის ნებასაც არ  
აძლევდა ხოლმე. ეგ რომ დააყენოთ მთელი დღე შეუწყვეტილვ ილა-  
პარაკებს და ჩვენ სადა გვეცლიან მაგის ნათქვამს უგდოთ ყურიო,  
იტყოდნენ ხოლმე სოფლელები და ნებას აღარ აძლევდნენ ლაპარა-  
კისას. მაგრამ გასანხანი არც ენგრე ადვილად დაანებებდა ხოლმე  
ლაპარაკს თავს და ცდილობდა ახლა თითონ არ მიეცა სხვებისთვის  
ლაპარაკის ნება და რაც შეეძლო ხმა მალლივ გაიძახოდა და ცდი-  
ლობდა ღრიალით ჩაეჩუმებინა მოწინააღმდეგენი.

ბევრჯელ თავი მოუბეზრებია მას სოფლისათვის, ბევრჯელ  
გაუჯერებია და მოთმინებდგან გამოუყვანია. მოუსვენარის გასანხა-  
ნის გაძევება — გადასახლება მოინდომა ერთხელ სოფელმა და განაჩე-  
ნის დასადგენათაც შეიყარა, რათა შეამდგომლობა აღეძრა, მის  
სოფლიდგან მოსაშორებლად. მაგრამ გასანხანი არც ანგრე წყალ-  
წაღებული იყო; იმას ყოველთვის მომხრეები ჰყავდა, რომელნიც მას  
მხარს უჭერდნენ, ბანს აძლევდნენ მის ნალაპარაკებს და თანაუგრძ-  
ნობდნენ. ესენი იყვნენ მის უზნელები, რომელნიც განთქმული იყვნენ  
როგორც კბენი, მოუსვენარნი და სოფლის ამკლებნი. უბანი კი  
დიდი იყო და ამიტოა ამაო იყო სოფლის ბრძოლა გასანხანთან.

ასეთი იყო გასანხანი ყოველთვის. მაგრამ ამ ჟამად გასანხანმა  
მოთმინებიდან გამოიყვანა მთელი სოფელი და ისინიც კი, ვინც ყო-  
ველთვის მის მომხრენი იყვნენ ხოლმე, ჩამოსცილდნენ და განხედ  
გაუდგნენ, სოფელი იმის ცდაში იყო როგორ მოერჯულებინა გასან-  
ხანი ერთხელ და სამუდამოდ და სოფლის ყადრი და პატივი ესწავ-  
ლებინა.

აი საქმე რაში იყო. სოფლის მოშორებით ერთი კარგი დიდი  
ბინა იყო, რომლითაც მთელი სოფელი ირჩენდა თავსა და გამო-  
დიოდა. აქა ჰქონდა სახნავი და სათესი, საჩალთიკე (საბრინჯე) ად-  
გილები, ფურცლის ბაღები და სხვა. მიწის სივიწროვით შეწუხე-  
ბულს სოფელს ეს ბინა რომ არა ჰქონოდა, ცუდათ იყო იმისი საქ-  
მე. მაგრამ უხსოვარს დროიდგანვე სოფელს ეს ადგილი ჩაევლო  
ხელში და ხმარობდა. საუბედუროთ ეხლა ამ მამულს მოდავეთ გა-  
მოსჩენოდა ერთს დროს გამოჩენილი შემამულე, მაგრამ ეხლა გალა-  
რიბებულ-გალატაკებული ათამბეგი, რომელსაც ყოველივე თავისი  
მამული და საცხოვრებელი მიეფლანგ-მოეფლანგა და როგორც გა-  
კოტრებული ურია ძველს თამასუქს გამოხანავს ხოლმე, ისე ეხლა  
ათამბეგსაც, სადღაც გამოეჩქენა რომ მისი წინაპარნი ამ მამულის  
მფლობელნი ყოფილიყვნენ. გაუთავებელი და დაუსრულებელი დავი-  
დარაბა დაეწყო სოფლელებისათვის. მამული მემკვიდრეობით მე



ავსტრიის მოკლული ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი.



მერგება და თქვენ ტყუილად მიგითვისებიათო. ძალა და სამართალი ათამბევისაკენ იყო, ძველი ნაცნობი, ნათესაობა, ჩამომავლობა სახელგანთქმულ მემამულისა, რომელიც ერთს დროს მთავრის უფლობით განაგებდნენ იქაურობას. შეიბნენ და შეიჭიდნენ სოფლებები და ათამბეგი. დაიწყო დაუსრულებელი ჩხუბი და დავიდარება, სასამართლოებში წიალი, ვეჭილების დაჭერა, უზომო ხარჯები, შრომა და სხვა და სხვა. ბრძოლა უთანასწორო იყო, ერთის მხარეს ყველაფერი იყო, მეორეთა მხარეს ცარიელი ლიტონი სიმართლე, რომელსაც კიდევ დამტკიცება ესიჭიროებოდა. მარტო ის რომ ვითომ უხსოვიარ დროიდგან მფლობელობდნენ ბინის მიწა-წყალს სოფლებები, დასამტკიცებელ საბუთად ვერა დგებოდა, ათამბეგი ძალაობდა. გლეხი, ან სიმართლით კმაყოფილნი არ იყვნენ, ერთგან, რომ წავაგებდნენ საქმეს, მეორეგან გადაიტანდნენ, ჰელეაგდნენ, ვერ მოესვენათ, რომ ადგილ-მამული შესაძლებელი იყო სხვის ხელში გადასულიყო. საქმე მწვედებოდა, ხელჩართულ შეტაკებამდისაც რამდენჯერმე მივიდა საქმე, რომლის დროსაც ათამბეგი კინალამ მოჰკლეს. ამითი უფრო აირია და წახდა სოფლის საქმე. დამნაშავენი სამართალში მისიკის, ოთხი კაცი გააციმბირეს და კიდევ სხვა მრავალი ზარალი ანახლათურებინეს.

როცა სოფელში ასეთი ამბები ტრიალდებოდა, როცა სოფელი საბედისწეროდ იყო გაწირული და როცა მის მარჩენელს და საცხოვრებლის ბინის წართმევას უპირებდნენ გასანხან ასლამაზაშვილი ყველგან უშიშრად გაიძახოდა:

— მამული ათამბევისაა, სოფელი უსამართლოდ ედავება, ჩამომავლობითი მემკვიდრე ეგ არის და თუ სოფელი სარგებლობდა ჩაგ მიწობით და ადგილ-მამულით ეგ უსამართლობაა— მე თითონ გამიგონია მამაჩემისაგან და სხვა მოხუცთაგან, რომ ჩონ ათამბევის მამისათვის ღალად გვიძლევიან პური, ბრინჯი, აბრეშუმის პარკი და სხვა.

— ინსანო\*), დინჯ იყავ, სოფელს ნუ ღუბავ, ჩონ დავიღუბებით, თუ ათამბეგმა მამული წაგვართვა, ეგ ჩონი ყოფნა.— არ ყოფნის საკითხია. თუ მამული წაგვართვის უნდა აქედგან სადმე გადავიხორცოთ, ეუბნებოდნენ სოფელში.

— იყოჩე გეთაყვა. ამ სიბერის დროს, სოფელს თავს ნუ დააწყვილიონიბ, ეუბნებოდა სხვებთან ერთად გასანხანს წელში სამად მოხრილი ალო.

მაგრამ გასანხანი რის გასანხანი იყო, თუ სხვის სიტყვას და მუდარას გაიგონებდა. ის კვლავ როდის ყოფილა სოფლის თანახმა და მისი გამგონი, ის არასდროს არ დასთანხიებია სოფელს და ეხლა რილასთვის შეისმენდა მის სიტყვას და ვედრებას. ვერც სიბერემ ვერც ახალგაზრდობამ გასანხანს გული ვერ შეუცვალეს, იგი ისევ ახალგაზრდობად ახირებულ იყო, თავის ნათქვამა და ყოველთვის სოფლის ამყაყანებელი. სოფელში ამბობდნენ, რომ გასანხანი ათამბევისაგან მოსყიდულიაო, მაგრამ ტყუილი იყო. ეს კია, ათამბეგს დიდი ხანია ვაგებული ჰქონდა მისი აზრი და ეს უფრო იმედს აძლევდა.

სოფლის ყრილობაა. რამდენიმე დღის შემდეგ უკანასკნელად და საბოლოოდ უნდა გაირჩეს სოფლებების საქმე, უნდა გადაწყდეს სოფლის ბედი და უბედურობა. სოფლის დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა, ყველა ერთსულად და ერთგულად გადაქცეულა, ყველას ერთნაირად აწუხებდა, გულს უღრღნიდა და ბოლმასა ჰგვრიდა მომავლის გათვალისწინება, თუ ვინიკობაა მამული ათამბეგს დარჩებოდა. ისევე ერთსულოვნად უტხადებდნენ ჩუმად თუ ცხადად წყევლა-კრულვას გასანხანსა, რომელიც მთელის სოფლისაგან გამოყოფილიყო, მათს ჰირსა და ვარამს გასდგომოდა და სოფლის მტერს მიჰკედლებოდა. ჯამათობა თათბირსა და რჩევაში იყო, თუ რანაირ მოველოთ ამ ჰირსათვის, რომელიც თითონ მათშივე აღმოჩენილიყო.

ბევრი ილაყბა, ითათბირა სოფელმა და ბოლოს დაადგინა რჩეული კაციები ვაეგზავნა გასანხანისთვის სათხოვნელად, რომ სოფელი არ გაეწირნა და სოფელს მისი გამოისობით ჰირი და განსაცდელი არ მისეგომოდა კარსა.

— კაცო და ისიც ჩონი სოფლის ინსანი არ არის, ჩონ სოფელში ცხოვრება აღარ უნდა, აქ არ კეთდების, როგორ გადაუდგების აგთონ სოფელს, მთელს ჯამათობას როგორ დაგვღუბავს, გაუგზავნოთ კაცები, ჰყვიროდნენ აქეთ-იქიდა.

— ჯიუტია, მიდგვა კაცია, გაიძახოდნენ მეორეები ვერაფერს ვაგებდებით ვაგასთან, სხვა რამ ღონე ვიღონოთ, თორემ ათამბევისა და სამართლისათვის მაგ ერთი კაცის მოწმობა და ფიციც საკმარისია, რომ მამული წავგვერთვას.

\* ინსანო — ადამიანო.

სალამო ჟამია... ჩამამავალმა მზემ უკანასკნელად სხივი ჰკრა გასანხანის ლერწამით მშვენივრად გადახურულს უშველებელს მამაპაპულს ძველებურს სახლს და მთას იქით ამოეფარა. ფართო მშვენივრად მოკრიალებულ-მისუფთავებულ ეზოს გასანხანისას ამშვენივრდა ორი უზარმაზარი წაბლის ხე, რომელსაც საყვარლად ვაშვერილი ტოტებით მთელი ეზო დაუჭირავთ. აყარი სავსე იყო ხორბლეულობით, ბრინჯით, ფეტვით და ყოველივე ზამთრისთვის შენახული ჰირნახულით. სახლს მთელს სიგრძეზედ აივანი ჰქონდა, რომლის ბოლოშიაც ბუხარი იყო გამართული და იქვე სიხლოვე თონე და ცოტა მოშორებით კიდევ მიწაში ჩარიგებული მრავალი ქვევრები, რომელნიც სავსენი იყვნენ ღვინით. ეზოს ბოლოს კიდევ უშველებელი ბოსელი იყო.

გასანხანის ცოლს უკვე აივნის ბოლოს ცეცხლზედ სავანშომოდ ბრინჯით ქვაბი შეედგა და გირცებს აკეთებდა, რომ ვიღამაც დარფაზის კარები დააკაუნა. დარფაზის კაკუნზედ ძალღებმა ყეფა შეჰქმნეს, გასანხანი, რომელიც სავანშომოდ ქვევრიდგან დოქით ღვინოს იღებდა წამოდგა, დოქი იქით გადასდგა და დარფაზისაკენ გაემართა. გასანხანს სალამი მისცეს და ეზოზე შემოვიდნენ სოფლისგან გამოგზავნილი მუსტაფა, ნავრუზა და ჰაჯიბეგა. გადასცეს სოფლის სურვილი გასანხანს და შეეხვეწნენ სოფელს ნუ გააწილებდა, მის წახდენას ნუ მოინდომებდა და მხარი დაეჭირა მისთვის.

გასანხანი გაწყრა, ცივი უარი სტიკიცა მისულეს. — მე ახლა დაბერებული ვარ, ჩემ ხნის ინსანი არცკი მეგულვების სოფელში და ტყუილს ვერ ვიტყვი. მე მითქვამს და კიდევ ვავიმეორებ და არც დავმალავ. ძველს დროში მამიჩემის დროს ათამბევისათვის ღალა მიუციათ ბინის მამულში და რომ დამაფიცონ მაშინაც ამას ვიტყვი და ვერავინ გადამათქმევინებს. ბევრი ეხვეწნენ გასანხანს, ბევრი ემუდარნენ, მაგრამ ვერას ვახდენენ, უღმობელი იყო გასანხანი. მისულეები ვაბრუნდნენ დამდულრულები და თან გულში ხელს იცემდნენ და მუქარს უთვლიდნენ.

შუალამეა. სოფელს შავი უკუნეთი გადაჰკვირია და ერთი ბეუტა ვარსკვლავიც კი არსადა სჩანს ცის კიღურში. კუპრით შავი ღანდი ჩამოსწოლია სოფელსა და თავის წყვილადში ჩაუნთქავს, მიუმალავს. მაგრამ უცებ ამ მწყვილადში რალამაც ინათლა, ამოვარდა მიწის გულიდგან და სოფელი ოდნავ გააშუქა. ერთი ბეწვა ნაპერწკალი, ერთს წუთს გაიზარდა, ვეებელთელა გიზგიზა ცეცხლად იქცა და ცოტა ხნის შემდეგ კიდევ ისეთი უშველებელი ალი ამოვარდა, რომ მთელი სოფელი განათა, ცა გაბრწყინდა და წყვილადი გაიფანტა. ალმა ელვარება დაიწყო, წვერი ზეცას მიაბჯინა და დიდს მანძილს მოსდო სინათლე. ზეცის განათებას თან მოჰყვა ზარის ვაჩქარებული რაკუნი და წკარა-წკური, რომელსაც ბანს აძლევოა გულშემზარავი პირუტყვის ბლავილი და საზარელი ამბავი დატრიალდა. ზარის ხმა, ცეცხლ მდებელი ლერწმით გადახურული სახლის ღაწა-ლუწი, რომლის აყარშიც მოთავსებულს ჰირნახულს ბლუჯა-ბლუჯა ბღღვირი ცაში აჰქონდა, საქონლის გულშემზარავი ბლავილი, რომელნიც ცეცხლ წაკიდებულ ბოსელში მომწყვდეულ იყვნენ და გასავალი არსაითა ჰქონდათ, ერთმანეთში ირეოდა და ჯოჯოხეთური საზარლობა ტრიალდებოდა. გულსაკლავად გაისმოდა სოფელში ეს ხმები, რომელნიც ერთი ერთმანეთში ირეოდნენ, ყურთასმენა მიჰქონდათ და დასასრული არ იყო. სოფელს გამოეღვიდა და საშინელი სურათი კი წარმოუდგა წინ, გასანხანის სახლ-კარისთვის ცეცხლი წაეკიდებინათ და ცეცხლის ალში ტრიალებდა იქაურობა.

— გასანხანისთვის ჩაუნთიათ, გასანხანისთვის. სოფელი უცებ გაქანა იქითკენ, მაგრამ იმ წამშივე ვაახსენდა მისი ნამოქმედარი, მისი სიავკაცე, სოფლის არ ვატანა და პატივისცემა და უკან დაიხია.

— გასანხანს ჩაუნთეს.  
— ახია თუ ჩაუნთეს.  
— მამა ვაცხონე იმისი ვინც ჩაუნთო. ქურმუხის წმინდა გიორგი სწყალობდეს და მარიამ დედა იყოს მისი შემწე, ამბობდნენ ერთი-ერთმანეთში სოფლებები.

გასანხანი ჩამოვიდა სამრეკლოდგან, ეგონა სოფელი თავს მოიყარის საშველადო და სარჩო-საბადებელს ვადაურჩენსო. მაგრამ მწარედ მოსტყუვდა, არც ერთი კაცი მის საშველად არ მოსულიყო, არც ერთს ადამიანს სოფელში ის არ შებრალებოდა. მთელი მისი საცხოვრებელი ცეცხლის ალში იფერფლებოდა.

ზ. ედილი.

